ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**d08. 37241153**
თარიღი:**24/04/2024**

დასკვნა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ - პროექტზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტი (შემდეგში „პროექტი“) და დაადგინა:

1. „პროექტი“-ს შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე, ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106^1 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

2. „პროექტი“ სრულად აკმაყოფილებს ყველა ნორმასა და წესს, რომლებიც დადგენილია ანალოგიური ტიპის ნორმატიული აქტის მისაღებად საჭირო პროცედურის - საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი ზემოთ მოცემული „პროექტის“ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მასზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი